ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №40

22 თებერვალი 2012 წ.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) მიღება–ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ორგანოს მიერ 2012 წელში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) მიღება–ჩაბარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დიმიტრი კორიფაძე – გამგებლის მოადგილე – ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ვლადიმერ გოგიბერიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – წევრი;

გ) ტარიელ ჩხიკვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – წევრი;

დ) ლევან ჩხიკვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი – წევრი;

ე) ნინო სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში – წევრი;

ვ) გოგი ბოლქვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში – წევრი.

ზ) გიორგი სიმონია – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში – წევრი;

თ) მალხაზ წიქორია – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში – წევრი;

2. დაევალოს ინსპექტირების ჯგუფს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2012 წელში განხორციელებული შესყიდვების (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) მიღება – ჩაბარება.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 4 იანვრის ბრძანება №3 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება–ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქ. # 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*